მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

საქართველო
დაფინანსების წყარო: საქართველოს მთავრობა
დავალების დასახელება: ქალაქ თბილისის სამხრეთ შემოსასვლელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობისთვის ტექნიკურ- ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაციის მომზადება
კონტრაქტის/ RFP No: GOG/CS/QCBS-10

1. საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო სახსრები **ქალაქ თბილისის სამხრეთ შესასვლელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაციის მომზადების** დასაფინანსებლად.

2. პროექტის მთავარი მიზანია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება ალტერნატივების შემუშავებისა და მათი ანალიზის გზით, რათა დადგინდეს პროექტის მიზანშეწონილობა და მომდევნო ეტაპზე — დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე — გადასვლის შესაძლებლობა.

3. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს **ქალაქ თბილისის სამხრეთ შესასვლელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაციის მომზადებას.**

4. საკონსულტაციო მომსახურების ძირითადი მიზნებია:
   - ხარჯთეფექტიანობის შეფასება, ალტერნატივების შემუშავება (სულ მცირე სამი ალტერნატივა) და შერჩეული მარშრუტების ანალიზი;
   - დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზანშეწონილობის დადგენა და გამოვლენილი ალტერნატივებიდან თბილისის სამხრეთით ახალი საავტომობილო გზის მშენებლობისთვის პრიორიტეტული მარშრუტის შერჩევა.

5. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაციის მომზადების ვადა განისაზღვრება 12 თვით.

6. დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ დავალების ტექნიკური დავალება, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ბმულზე: https://www.dropbox.com/scl/fo/usvcb3h35q888ru8wzvxc/AP2Pn27tF0FrDLpSJrSFne0?rlkey=v30kf854dlz2uh305kgntdldd&st=5gc1k78k&dl=0

7. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქვთ მოთხოვნილი კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება მომსახურების შესასრულებლად.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მსგავსი გამოცდილება	კონსულტანტს 01.01.2015 წლიდან ინტერესთა გამოხატვის მიღების ბოლო ვადამდე, წარმატებით განხორციელებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2 (ორი) ხელშეკრულება, თითოეული მინიმალური ღირებულებით 2,000,000.00

	დოლარი. აღნიშნული ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს მაგისტრალის/ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაციის მომზადებას.
	წარმოდგენილი ცნობით პროექტი სრულად უნდა იყოს დასრულებული; - კოსნულტანტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას; - ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში ყველა პარტნიორი ერთობლივად: უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას; * - ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის მინიმუმ 25 %-ს (მინიმუმ 1 პროექტი, თითოეული მინიმალური ღირებულებით 2,000,000.00 აშშ დოლარის 25 %, (ე.ი. 500,000.00 აშშ დოლარის ექვივალენტი)); - ერთი პარტნიორი: არაა განსაზღვრული. * ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მისი წევრების მიერ შესრულებული ხელშეკრულებების ღირებულება არ დაჯამდება იმის დასადგენად, დაკმაყოფილებულია თუ არა მსგავსი ხელშეკრულების მინიმალური ღირებულების მოთხოვნები. ამის ნაცვლად, თითოეული წევრის მიერ შესრულებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს მსგავსი ხელშეკრულების მოთხოვნების მინიმალურ ღირებულებას.

<u>ძირითადი ექსპერტები მოკლე სიის ეტაპზე არ შეფასდებიან. საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ცნობები და გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია შეფასების მიზნებისთვის.</u>

8. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის „შესყიდვების რეგულაციები სესხის ამღებთათვის“ 2025 წლის სექტემბერი, მეშვიდე გამოცემის (შესყიდვების რეგულაციები) მე-3 ნაწილის 3.14, 3.16 და 3.17 პუნქტებზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. დამატებით, გთხოვთ იხილოთ შემდეგი სპეციფიკური ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ამ დავალებისთვის: კონსულტანტმა დავალებასთან მიმართებით ანაზღაურება უნდა მიიღოს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი აფილირებული კომპანიების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

9. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან, თუმცა მკაფიოდ უნდა მიუთითონ, გაერთიანება ხორციელდება ერთობლივი საწარმოს (Joint Venture) სახით თუ ქვე-კონსულტანტის (Sub-consultancy) სტატუსით.

ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მისი ყველა პარტნიორი ერთობლივად და ცალ-ცალკე აგებს პასუხს მთლიან კონტრაქტზე, მათი შერჩევის შემთხვევაში. კომპანიის გამოცდილების შეფასებისას ქვე-კონსულტანტების გამოცდილება მხედველობაში არ მიიღება. დავალების შესაბამის პროექტებში გამოცდილება უნდა იქნეს წარმოდგენილი სპეციალური ფორმის შესაბამისად, რომელიც ატვირთულია ტექნიკურ დავალებასთან ერთად.

10. **უფლებამოსილება** (Eligibility): ეროვნების მიხედვით შეზღუდვები არ ვრცელდება, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გამომდინარეობს ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან. კონსულტანტი და კონსულტანტის შემადგენელი ყველა მხარე ჩაითვლება არაუფლებამოსილად, თუ მათი წარმოშობის ქვეყანას არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობები დამკვეთის ქვეყანასთან, ან თუ ასეთი ურთიერთობები შეწყვეტილია, ან თუ კანონის ან ოფიციალური რეგულაციების საფუძველზე დამკვეთის ქვეყანა კრძალავს ამ ქვეყანასთან კომერციულ ურთიერთობებს. აგრეთვე, კონსულტანტი ჩაითვლება არაუფლებამოსილად, თუ გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების შედეგად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს აღნიშნული ქვეყნიდან საქონლის ნებისმიერ იმპორტს ან კრძალავს ნებისმიერი გადახდის განხორციელებას რომელიმე ქვეყნის, ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სუბიექტის მიმართ იმ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც წარმოშობილია აღნიშნულ ქვეყანაში, ან თუ დამკვეთის ქვეყანა კრძალავს გადახდებს კონკრეტული პირების ან სუბიექტების მიმართ ან კონკრეტული საქონლის ან მომსახურებისთვის ასეთი შესაბამისობის აქტის საფუძველზე.

11. **სანქციები** (Sanctions): კონსულტანტი და კონსულტანტის შემადგენელი ყველა მხარე არ უნდა იყოს სანქცირებული (დროებით შეჩერებული ან დისკვალიფიცირებული, მათ შორის ჯვარედინი დისკვალიფიკაციის ფარგლებში) ხელშეკრულების ხელმოწერამდე, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანოს მიერ:

- საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, „შავი სიის წესებისა და პირობების“ შესაბამისად;
- მსოფლიო ბანკის მიერ, ბანკის ანტიკორუფციული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად და მსოფლიო ბანკის ჯგუფის სანქციების ჩარჩოში (World Bank Group Sanctions Framework) განსაზღვრული მოქმედი სანქციების პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე;
- გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, კონსოლიდირებული სანქციების სიის შესაბამისად;
- ევროკავშირის მიერ, ევროკავშირის ფინანსური სანქციების ქვეშ მყოფ პირთა, ჯგუფთა და სუბიექტთა კონსოლიდირებული სიის შესაბამისად.
- აგრეთვე, კონსულტანტები, რომელთა ხელშეკრულებები დამკვეთის მიერ განხორციელებულ პროექტებში შეწყვეტილია, არ იქნებიან უფლებამოსილნი: მოხვდნენ მოკლე სიაში, წარადგინონ წინადადებები, მიიღონ ან ისარგებლონ ხელშეკრულებით ფინანსურად ან სხვა ნებისმიერი ფორმით, მუდმივად ან იმ ვადით, რომელიც ზემოაღნიშნული შესაბამისი ორგანიზაციების მიერ არის განსაზღვრული.

12. კონსულტანტების შერჩევა მოხდება **ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის (QCBS) მეთოდის** შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების რეგულაციებით.

13. დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტით: info@georoad.ge

14. ინტერესის გამოხატვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით ან ნაბეჭდი ვერსიის სახით (ნაბეჭდ ვერსიას თან უნდა ახლდეს ინტერესთა გამოხატვის ელექტრონული ასლი) ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2026 წლის 17 აპრილის 18:00 საათისა.**

კონსულტანტებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ინტერესის გამოხატვის განაცხადი არ აღემატებოდეს 30 გვერდს. კომპანიის ბროშურები შეიძლება წარმოდგენილი იქნას დანართის სახით. მათზე გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

15. საკონტაქტო პირი: **სალომე წურწუმია**

თანამდებობა: საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge